



სალიტერატურო და სამეცნიერო ნახაბიანი ზაზაეთი. ზამოღის უმოველ კვირა ღმის.

№ 35

აპრილის 13, 1895 წ.

კვ 35

შინაარსი: მუხარე დედა, ლექსი (დასასრული) გასელისა. — სხვა-და-სხვა ამბები. — საყურადღებო ამბები. — აგსტრა-ლის ხადირ-ფრანგული. — „მოამბე“ — „ივერია“ და ეროვნება. ნ. ჟორდანიასი. — სამედიკალინური ჟურნალი. — დღევანდელი შერეული რედაქციის მიმართ. სპ. მაჭარაშვილისა. — შეცდომის განმარტება.

მუხარე დედა

(დასასრული *)



მ დროს შემოდის ქობში მოხუცი:
 აქა მშვიდობა, ლოცვა-კურთხევა!..
 აქ იხმეს ღვდელი, თუ საღ? არ ვიცი!
 (ჩუმად) ოჰ, რა ლამაზა!.. მიწა ირყევა.

ღამის მთვეელი

— აქა, მამაო, ბავში გვიკვდება,
 ამისმა კოდეამ დავადანო უკელო.
 დედა ამისი სიმწრით გვიკვდება,
 თუ რამ გიძლია, მოგვეცი შევა.

მოამბე (ბავშს ხედვს)

— ღიღება, ღმერთო, შენ სამართალსა!
 ოჰ, რა საშინლად მოკვდები სენი!
 რა საშუალოთ კლავის საწყალსა!.. (გაჩუმდება)
 ახლა შეუშვა.. სახე აქვს მშვენი..
 დახე, იცინის!.. ზნე დამტყბარია.
 ნუ გეში, დედი, ჩნელი მორჩება.
 როგორც ეტყობა ტან მაგარია,
 არ ვფიქრობ, — რამე გაუჭირდება.

ღამის მთვეელი

— ღმერთსა მსახური, მიდი ღმერთთან!
 აი, იქა ზის გაშტერებული.
 არ გაგვივიდა სიტყვა მაგასთან,
 ისე იქცევა ვით შერეული.

თქვენგან ნუგეში დიდი რამ არის,
 გული მოუღებთ კეთილი რჩევით.
 უცხო ვინმეა, შორეულ ქვეყნის,
 თავისიანი არეინ ჰყავს გვერდით.

მოამბე (მიდის კუთხეში)

— ნუ ტირი, დედა, შეწყვიტე მოთქმა!
 ყველას ჩვეია ქვეყნით წვალება.
 აქ თვისი ტანტი დადგა ვშაქმა,
 კეთილთ სადგომი ცას იძიულება.

დედა (გაბრაზებით)

— მაშ, წმინდა მამა, შენცა მსახური
 ვშაქასა ხარ, რადგან აქ ცხოვრებ.
 მაშ რაღათ დაგვდევალი ღმერთი,
 იმის სახელით რაღათ ქადაგებ?..

მოამბე

ჩვენა გვაქვს ძალი ღმერთგან ცნებული,
 რომ ბოროტება ამითი შეეკრათ



და კაცი სოფელს მტრისგან ენებული
აუხსნათ, ზენარის მარად საქებრათ.

დედა.

— მაშ, იხსენ, ლედლო, ეს ჩემი შვილი!..
ექვსი დღე არის, ასე იტანჯვის;
თუ კი სადმეა აქ სამართალი,
მაგრე ჯაწის, აბა, ვინ ერჩის?..

მოძღვარი

— ხსნა ლეთის საქმეა, ჩვენ კი მის მსახურს
წმინდა მირონი გვაქვს საცხებელათ
და ამ ლამეში მოსელა არც მე მშურს
თქვენი შვილისა მოსანათელელათ.

დედა.

„ზეცას და მიწას მოგცემ თავდებათ,
ეგ წმინდა იყოს, ვით მზე ნათელი,
შური და ზღვევა არ ჰქონდეს საგნათ.
გლეჯა-ჭურღობის არ იყოს მქველი.
ეგ წმინდა არის, ვით ცის არსება:
კიდევ ეგა მკლავს, ჩემო მამაო,
რომ ეს მართალი ვით იტანჯება,
თუ კეთილია მართლის საწყაო?..“

მოძღვარი.

— ყოველი მოგვლის ჩენი ცოდვისგან.
მაგალითს გეტყვით, რას შევეწარი,
რა ცოდვა ენახე ცულ ამიდისგან
ყივილ-კივილი, ტირილი მწარი.
მეზობლის ჭერი ავლიჯა ქარმა.
საწყალი ნორჩი ბუძუ მწოვარი
გულში ჩაიკრა უტებ დედამა
და გამოვარდა პერანგს აპარი.
ოთხი სხვა შვილი ზუთი-ექვსი წლის
თოვლ-ქარის ცემით ტან-დახუთულნი,
მათთან თვით დედაც, მწყევარი ზედის
იხზოედენ შევლას იმედ წასულნი;
გერდით პალატნი ჩირაღდნებითა
მათ ანათებდა, წივოდა ყველა.
მაგრამ არსიდან თანავარძობითა
არ გამოვიდა იმათთვის შევლა.
ქვეყანამ დახშო სიკეთისათვის
თავის კარები. არ მივირის ესა,
ვითა ნადირი, კაცი კაცს ერჩის,
გული ქონებამ გამოხრა დღესა.
დედა, ნუ დავმოზ შენ დიდ არსებას;
მან გააჩინა ზეცა—ქვესქნელი:
ის აძლევს მართალს უკუნ—ცხოვრებას,
ბოროტებისგან ქვეყნის დამსნელი.

დედა.

— თუ იმის ხელში იყო გაჩენა,
როგორც კეთილის; ისე ბოროტის,

რა აზრი იყო ბოროტის ჩენა,
მითხარ, მამაო, მე ეს არ მესმის!..“

მოძღვარი

— მისთვის, რომ კაცსა ბოროტ-კეთილი
ცხადათ ანახვოს, თავი იდილოს:
ჯერ მწარე მისცეს გულის დამწყველი,
რომ მერე ტკეკლი უფრო ავემოს.

დედა

— როგორ? ზენარმა დასაბამიდან
ბნელი აჩინა ჩვენ სატანჯველათ?
რომ სარზე გვატყას დე თვით შორიდან
დიდხანს გვიჭერტოს ვაუშვითებლათ?..
რათ გავეაჩინა, თუ დავეტანჯა?
და თუ დავეტანჯა, რაღათ უნდოდა
ჩენის შევლითა თავის დიდება,
თუ მას არ ძრავდეს თავმოყვარება?..“

მოძღვარი

— ღმერთმა შეგინდოს სასო წარკვეთა.
ნუ, დედა, ცასა ნუ მოგვიქუხებ;
მისწევმა ყოველი იცის უკეთა,
ურწმუნო გამოებით მას გაარისხებ.
ალბათ იმას სურს, შენი შვილი
ზეცას მეოხათ შენ გაეჩინოს.
მისთვის შეშურდა შენთვის ეგ სული,
რომ მას სურს კარგი კარგთან აყუროს.

დედა

— ნუ თუ ღმერთსა შურს ჩემთვის ეს შვილი?
მაშ რათ მანახეა?.. ჩემ დასახველათ?..
ამას იქმოდა ბოროტი სული
და არ კეთილი შურის საკებლათ.“

მოძღვარი

— მშვიდობა, დედა, და სასოება.
მოენათლოთ ჩვენი მირან ცხებითა.
უხილ ავია მისი განგება.
იქნებ, ეშველოს ყრმას მონათელითა.

დედა

— გრწამს, ლედლო, ნათელით ეგ მომირჩება,
კვლევ მომეცემა მე ჩემი შვილი?..
სენი მაშინვე ტანს გაშორდება,
კიდევ დამატებობ მაგის ღიმილი?..“

მოძღვარი

— სარწმუნოებას ეგარა დასძლევს,
შენც თუ ჩემებრ გრწამს, განიკურნება.
იქვის შესვლითა პეტრე ზღვას ვარდეს:
მას ვით მაცხოვარს, იქ არ ესვლება.

დედა

— შენგან, მამაო, სწორ პასუხს ეცემბ.

გრწამს, მომირჩება მირანის ცხებით?"

მოძღვარი

— ლეთის გმობით ენას ნულა აყენებ.

დიდია ღმერთი თვის სულგრძელობით.

დედა (სასო წარკვეთით).

მაე პასუხითა ვცნობ შენს სისუსტეს.

თეთიონ არა გწამს, ვისაც მსახურებ.

განა არ ვიცი, ჩემს შეილს სინათლეს

შენ ზეთის ცხებით ვერ მიანიჭებ?..

ერთი ნათელი მრწამს მხოლოდ ქვეყნათ:

ეს არს ნათელი კაცთ გონებისა;

მისგან კარგს და ცუდს ვხედავთ ამ სოფლათ,

ის არის ნიჭი შთამოგებისა,

ის ცხოვრებითა განგვისხივდება.

ჩემს შეილს ნათელი თან დაყოლია,

მიტმაც ებრძვის მას ბოროტება:

ზუნების ძალა კლას გაყოლია;

ის არ კითხულობს, ვინ რისთვის კვდება?..

აწ ყველა ესცანი ამ ცოტას ცნობით,

სამართალია კაცთ მოკოვრება:

და ეს სოფელი შემთხვევის ძალით

დასასრულამდე განიგებება.

მოძღვარი

— ღმერთმა შეგინდოს ვე ლაპარაკი.

როგორც მოესულვარ, მე ისე წავალ;

მავრამ სჯობს უფალს მისცე ზეარაკი:

შეილი განათლა სიკვდილის უმაღ.

დედა

რაც თვით არა გრწამს, ნურც იქადაგებ.

შეილი თუ შემრჩა, განათლულია,

და თუ მომიკვდა ამით გიწამებ,

ქვეყნათ სიკეთე სულ ტყუილია!..*

—

გაშორდა მღვდელი. ღამეც გათენდა;

ისეე დაადგა მზე ამ ქვეყანას;

პაწას ტანჯევაც იმ დღით დაცხრა

და მან შესცინა ნუგეშით დედას.

გასული

1875 წ, სასენ-ჰუჟენი

(ფრანკოვსკი)



სხვა-და-სხვა ამბები



აღვან სამეურნეო სასოფლო შკოლების მასწავლებელთა რიცხვი ძლიერ მცირეა, ამიტომ ადგილობრივ მთავრობას განუზრახავს იშუამდგომლოს, რომ თბილისში გახსნილ იქნეს სამეურნეო სემინარია, რომელმაც უნდა მოამზადოს ასეთი მასწავლებელინი.

* *

გენუის უნივერსიტეტის პროფესორს მარალიანის ახალი საშუალება უპოვია ტუმბერკალოზის აცრიით მორჩენისა.

* *

ბ. ე. აღინაშვილს, რომელიც სპარსეთში მოგზაურობდა, თან ბევრი ფოტოგრაფიული სურათები ჩამოუტანია იმ ქართველებისა, რომელნიც სპარსეთში შაჰ-აბაზის დროს იყენებდნენ გადასახლებულნი

და რომელთა დღემდე დაუცავთ თვისი ზნე-ჩვეულება და ენაც.

* *

ბ. მელქ. ხოჯაშვილს ერთი ხელთნაწერი უპოვია, რომელშიც თურმე მოთხრობილია შემდეგი თავ-გადასავალი ეფუხის ტყაოსნის* გმირებისა და სიკვდილი ტარიელისა. რედაქცია დიდ მადლობას უცხადებს ბ-ნ მელქ. ხოჯაშვილს ამ ხელთნაწერის შემოწერილისათვის და თხოვს იგი გ. ე. წერეთელს გადასცეს.

* *

გორიდან გვატყობინებენ: იქ განუზრახავთ გორის ციხის ძველი საყდარი განახლონ და ამ საქმიანათვის კომიტეტიც კი ამოუჩინეთ.

* *

ქართული დრამატული დასის ახალი მართელობა აცხადებს, რომ 20 აგვისტოდან იგი დაიწყებს გამოსაცდელი წარმოდგენების მართვას მათთვის, ვინც სცენაზე პირველათ გამოსვლას ისურვებს.

საყურადღებო ამბები



ურია. მზაბთს, პირველს იგლისს სოფელ ლუბაზუს სასამართლოს წინ წაეწყო — დი შემდეგს სურათს: ერთ ახალგაზდა გლეხს, გვირათ ლლონტს, მიჰყავდა ქ. ოზურგეთისაკენ ხის ფიკრებით დატვირთული ურემი. სასამართლოს რომ დაუპირდაპირდა, იქაურმა „პოპოშნიკმა“ (ნაცვლია) წყრომით, დაუყვირა, ურემი გააჩერეო, მურუმე ვაჩერდა. „პოპოშნიკმა“ უბრძანა ხარებო ჩქარა გამოსასენიო, ლლონტი მიხვდა, რაშიც იყო საქმე და დაუწყო ხეწვნა-ეგრებობა: „შენი კირიმი, ბატონო, გამიშვით! აგი ჰქვითი ნატანებში თუ არ ჩევიტანე ამელამ, არ იქნებაო“. თხოვნით რომ ევრას გახდა, ძალით უნდოდა გზას ვადგომოდა; მაგრამ „პოპოშნიკი“ გაცხარდა და დიდი ყვირილით და მუქარით მიმართა მეურუმეს: „ბოჭო, რაფა მიზნდევ მაგას შენ... ნაობაში ვირჩენია... სტაცეთ ხელი და შეათრიეთ ნაობაშიო“—ო. „პოპოშნიკის“ ბრძანება, რასაკერძედა, სისრულეში მოიყვანეს. ხარგებს და ურემს ქი რა უყვეს, არ ვიცი. მეგონა, რაიმე ავახაკობა ჩაუდენია ლლონტსა თქო, თურმე „პოპოშნიკს“ ურემი დაჰჭირებდა და რათ შეიწყობს თავი? ავერ უხით არა ჰყავს? რა ედარდება, თუ სამუშაოზე მიმავალი გლეხი საქმეს მოცდება, რალა „პოპოშნიკი“. ყოფილა, თუ ესეც არ შეუძლია. აი, ასე დაჩაგრული გლეხის ცხოვრება. წინით, ბატონ-ყმობის დროს, გლეხები თუ ბატონებთან იყვენ შევიწროვებულნი, ახლა იმათ ბატონებთან და მყელეფათ შექმნილან სოფლის გაიძევა მამასახლისებში და გაქნილნი მწერლები... და სოფლის „აბლაკატები“ ამიტომ საწყალი გლეხი, ისეთაც ბევრი გადასახადისგან წელ-მოწყვეტილი, ზნეობრივათა ცონებრივით თახსირდება და ეკონომიურათაც მცესა. არა მგონია, რომ სოფლის მამასახლისებს უფლებმა ჰქონდეთ გლეხს ასე სასტიკათ მიეპყროს. აგრეთვე ჩვენი მახრის უფროსი, ბ. ალშობია, რომელმაც დაბალი ხალხის გულ-შემბატყვრებით სახელი და პატივი დაიმსახურა, ამ ვარემობებს ყურადღებას მიაქცევს და გულ-გრილათ აღარ მოეცქევა. ფრიად სასურველია და საჭიროც, განსაკუთრებული ყურადღებმა მიექცეს მწერალ-მამასახლისებისა და მათ თანამაშეურების არჩევანებს. ბ. მახრის უფროსი ამ მხრით დიდ სამსახურს გაუწევს საზოგადოებას.

სოფ. ხიმში (რაქის მახრა): ხიმში რაქის მახრაში ერთი პატარა სოფელია, რომელიც ძვეს მდ. რიონის მარჯვენა მხარეზე. ხიმში ვანიყოფება ორ ნაწილათა, ორ უბანთ. ერთსა ჰქვია ხიმში, მეორეს კი კლდის უბანი. ამ ორს უბანში რიცხვით სამოც-დახუთი მეკიდრი მცხოვრებია, ოც კომლამდე ახნაურნი და დანარჩენი კი გლეხები. გლეხებსა და ახნაურთ შარის არაერთი უსამოვრება არ არის, კირშიაც და ლხინშიაც განწყურდნი არიან. კლდის უბნელებს ერთი „სათემო ენახი“ ეგქონდა. ეს ენახი ვილაცას ძველათვე შეუწირავს უბნისათვის, ე. ი. თემისათვის. ამ სათემო ენახს გლეხი და ახნაური ერთით მუშაობდენ, ყურძენს ერთათვე დაწურავდენ და ჩასხამდენ სუბთა პურში ასე შენახული ღვინოთა დანიშნულ ვადამდე ვერცენ ისარგებლებდა. დანიშნული ვადა კი ან აღდგომას იყო ან მის მეორე დღეს. მოაწვედა თუ არა წმინდა აღდგომა ქრისტესი, სადილობის დროს ყველა კლდის უბნელები შეკრიბებოდენ ერთთ იმისას, ვის მარაშშიაც სათემო ენახის ღვინო ესხა. შლიდენ მწვანეზე სუფრას და საღამომდე ღვინის სმით დროს ატარებდენ. მერიქიჭობა კი მორიგი იყო: წელს რომ ერთი იყო, გინათ მეორე უნდა ყოფილიყო. მერიქიჭე თითო ოჯახიდან ორ პურს მიიღებდა, სამ ლორს და სათემო ღვინოდან ერთ კასრს ღვინოს. ამ დროს პირველათ რომელიმე მოხუცი ვაიესებდა ყაწწს, მოიხდდა ქუდს და დაიწყებდა ლოცვას. ღმერთო! წელს კიი ნამეშვეარი მოგვეცი, სიმაართეს ნუ მოაკლებ ხალხს და სხვა ამისთანაების თქმით დააბოლოებდა ლოცვას. შემდეგ სხვებიც—დიდი და პატარაც—ამასვე გაიმეორებდენ. საღამომდი გასტანდა ლხინი ძველმეზური სიმღერებით, ფერხულით და დაირის დაეკრით. დღე-ღამე რომ ვერსურებოდა, ხალხიც დიშვლებოდა. არ ვიცი, რისთვის შეგზარბა ეს ჩვენი თემობა ბლალოჩინს მ. სხირტლადეს. მან რამდენჯერმე გამოუტხდა ხალხს, სათემო ენახი იჯარით გაცეცთ და შემოსავალი საყდარს მოეხმარათო. ხალხი ჯერ უარზე იყო, ბოლოს მოთმინებიდან გამოსული დათანხმდენ. სათემო ენახი დღესაც იჯარით არის გაცემული. ბლალოჩინს აღთქმული ჰქონდა ხალხის წინაშე. რომ ამ ენახის შემოსავალს წმინდა მარინეს ეკლესიას მოეხმარო. მიეკირს კი, რატომ არ ახმარს, რადგან მარინეს საყდარზე უფრო ღარიბი სხვა რაქაში კი არა მთელ ქვეყანაზედაც არ მოიპოვება, ვგონებ.

ვანო ჭიკნაძე

მრ. აღმუშავი



სოფ. სვერა (შორაპნის მახრა). ბევრი სოფელი არ არის სვერზე უმჯობესი. სვერელებს ბლომით აქვთ ნაყოფიერი სახნავ-სათესი მიწები და საბალახოები. ღვინოც კარგი დგება აქ. წყალი ბლომით გვაქვს და ისიც კარგის თვისებისა. მაგრამ სწავლა-განათლების საქმე კი აქ მეტათ დაქვეითებულია. ამ სამი წლის წინეთ აქ სამრევლო სკოლა დამტოვდა და რამდენიმე ყმაწვილი კიდეც სწავლობდა, მაგრამ ჩვეულებრივმა გულ-კრილობამ და დაუღწეობამ ამ სკოლას ბოლო მოუღო. ხოლო ამ ბოლო დროს ერთმა პატრიცემულმა პირმა განიძრახა შკოლის ფეხზე დაყენება. მას სურს მასწავლებელს ცოტა-ოდენი ჯამაგირი დაუნიშნოს, თავისი სახლი დაუთმოს საცხოვრებლათ და ასე-აქამოს. ვისურვებთ, რომ ამ პატრიცემულმა პირმა თვისი კეთილი და საშეილი-შეილო განძრახვა მალე სისრულეში მოეყვანოს და ამით ფას-დაუღებელი სამსახური გაეწიოს საზოგადოებისათვის. სოფლის შუა ადგილას ციხე აგებული სალ კლდეზე, კლდე სიმაღლით ოცი საყენი იქნება. ციხე ქვითკირისაგან არის აშენებული. წინეთ ეკლესიაც შიგ ყოფილა მოათესებული. ციხის გარშემო პატრია მიწდარია. ამ მიწდარს „სასახლის მიწდარი“ ეძახიან და ზედ ტაძრის ნანგრევია. ამ მიწდარზე სამი შეწიერი ცაცხვი დგას. ზეპირ გადმოცემა ამბობს, რომ ეს ციხე სოლომონ მეფეს ჰქრია, ხის საყდარი კი ელისბარ ერისთავს აუგია. სამხრეთით ეს ციხე მოუღვამელია. კლდის თავზე ეკე ადგილია და კალოა გაცემებული. ეს კალო მეფეს ქონდა. ამ ციხის მიდამოში პოულობენ სხვა-და-სხვა ნივთებს. ზარბაზნის ფინდიხებს და ოქროს ღიღებს. ერთმა ჩემი თანადასწრებით ნახა ოქრო. მეორე დღესაც კიდევ ერთი ოქრო ეპოვა და ქუთაისში გაეყიდა ცხრა მანეთით. ერთიც ქალიშვილს ეპოვა. ეს ნივთი სპილენძში იყო ჩამსული. სპილენძი ახალი ორკაპიციანის ოდენა იყო. ერთს სწამებენ ოქროთ საცეს ქვევრი იპოვაო. სოფლის სასამართლოში ორს საჩივარი ქონდა, ჩემ ადგილზე ფულით საცეს ქილა იპოვა

და მე კი არ გამიზიარაო. მიწას ემჩნევა, რომ იქ ქილა ამოულიათ.


ხვახვალაშვილი



სოფ. ჭკადუაში (ზუგდიდის მახრა): ერთ უმთავრეს მეგრელების გამალდატაკებულ და ეკონომიურათ დამაქვეითებელ მიზეზთაგან შეადგენს ქურდბაცაცობა. ვინ არ იცის, რომ არც ერთ საქართველოს კუთხეში ისე არ არის გავრცელებული ეს სახეზღარი მოვლენა, როგორც სამეგრელოში, სადაც ის ისტორიულათ დამკვიდრებულა.

ვანსაკუთრებით ამ უკანასკნელ ხანებში სრულიად აკლებულია ქურდობისაგან ზუგდიდის მახრა; მაგალითათ სოფ. ჭკადუაში უშიშრათ დაბრძანდებან „აბრაგები“ და ანადგურებენ საწყალ გლეხობას. წარსულ მაისის უკანასკნელ რიცხებში ექვსი ყაზალი შეუვარდა ღამით ერთ ჭკადუაშის მცხოვრებ გლეხს ნ. ნაჭყებიას, წარათეს, რაც რამ საფასო ნივთი ებადა, და ბოლოს, როცა ფულები ვერ უპოვეს, გალახეს საწყალი გლეხი და შემდეგ მღერიოთ და თოვების სროლით წაბრძანდენ. მეზობლებმა გაიგეს, მაგრამ შიშით კინიტუც აღარ დაუძრავთ. ამ გვარი შემთხვევები ჩვენში ამ უკანასკნელ ხანებში მეტათ გახშირდა. გასულ ივნისის 20-დან ივლისის პირველ რიცხებამდე ს. ჭკადუაში მოუპარავთ ექვსი ცხენი და სხვა მრავალი წერილივებობა. საბრალო გლეხობა იძულებულია ამ გაცხადებული მუშაობის დროს ქურდებს სდიოს და თავის დაკარგული საქონელი ეძებოს.

ჩვენ ძლიერ გეკვირვებს ის გარემოება, რომ ადგილობრივი პოლიცია, რომლის პირდაპირი მოვალეობაა, ხალხი დაიცვას და დაიფაროს ქურდ-ვაჭარკებისაგან, რატომ აქამდის არავითარ ზომებს არ ხმაარობს ამ საზიზღარი მოვლენის მოსასპობლათ.



ავსტრალიის ნადირ-ფრინველნი

ავსტრალიაში ბევრი გასაოცარი აგებულების ცხოველი მოიპოვება. ევონებ, ყველამ კარგათ იცის, რომ ავსტრალია სამფლობელოა პარკიან ქუთუ-შწოვართა. (მაგ. კენგურუ და პარკიანი მგელი). პარკი ამ ცხოველებს მუცელზე აქვთ ამოზრდილი და შიგ შეილებს ზრდიან.

მაგრამ ავსტრალიაში სხვა კიდევ უფრო გასაოცარი ცხოველებია. აქ ისეთი ცხოველები არიან დღემდე დაცული, რომელნიც თვისი აგებულების ზოგი მხრით ფრინველთ მოკავანებენ და ზოგითაც ქუთუ-შწოვართ. ასე შეჩვეული თვისებების მექანიცხოველები წინეთ, ვიდრე ადამიანი გაჩნდებოდა დედამიწაზე, ევროპაშიაც და აზრშიაც ცხოვრობდნენ. ამ ქმამთ კი მხოლოდ ავსტრალიაში მოიპოვებიან და მათ ეწოდებთ ნადირ-ფრინველნი.

აეწიროთ ორი წარმომადგენელი ამ ნადირფრინველისა. ერთი ექიღნაა, მეორე იხენისკარტა.


დღემდე დაცულია მხოლოდ სამი გვარი ექიღნისა. ერთი გვარი ცხოვრებს ტასმანიის კუნძულზე, მეორე—ახალ გვინეაზე და მესამეც—თვით ავსტრალიაში. სამივე გვარი ერთმანეთის სრულ მსგავსებას წარმოადგენს, განსხვავება კი მხოლოდ ტანის სიდიდეს-სიმკირეში აქვთ. ტასმანიის ექიღნა სულ მცირე ტანისაა, ავსტრალიისა კი უფრო მოზრდილია. აეწიროთ ავსტრალიაში მცხოვრები ექიღნა.

როგორც ზეითაც მოვიხსენიეთ, ექიღნას ზოგი თვისება ფრინველისა აქვს და ზოგიც ქუთუ-შწოვართის. ექიღნას პატარა და გაზრტყელებული ტანი აქვს; კუდი ძლივს-ძლივით აწინფეია; ოთხი ფეხი ასხია, ფეხებზე ბასრი კლანჭები აქვს. მთელი ტანი შეფარული აქვს წვეტიანი წვესებით, ქაცვებით ისე, როგორც ჩვენებური ზღარბს. ამ თვისებებით ექიღნა სრულიად ემსგავსება ჩვეულებრივ ოთხფეხს. მაგრამ გასაკვირებელი ის არის, რომ მას ნისკარტი, ძირში

ძალზე გაზრტყელებული და ბოლოზე გაწირობებული აქვს, ისე, როგორც ფრინველებს. ამ ნისკარტის ბოლოზე ექიღნას კანის მგრძნობიარე სალტე აქვს და იმითი ეძებს საზრდას. თუ საზრდას ამ გრძნობიარე სალტეთი არ შეეხება, ისე ევრას გაივებს. ფრინველსავეთვე ექიღნას ყურის გარეგანი ბიბილო არა აქვს. თუღებზე გადაკრული აქვს საპარპალგებელი გარსი (membrana nictitans—зигательная перепонка) ისე, როგორც ფრინველებს.

ექიღნა კევრცხსა დებს და იქიდან გამოჩეკვს ბარტყს თუ წიწალას და თვის პარკში, რომელიც მუცელზე აქვს აოკრული, ზრდის. აქ გასაოცარი და გასაცვიფრებელი ის არის, რომ კევრცხიდან გამოჩეკვლ ბარტყს რძით ზრდის, ძუძუს აწოვებს. ზღაპარში თუ იტყვიან „ჩიტის რძე“ არ აუღდაო, თორემ ისე ვის გაუგანია, რომ ფრინველს ძუძუ ესხას და შეილებს რძით კვებდეს..

თუმცა ასე გასაკვირველია, მაგრამ ეს მაინც ასეა: ექიღნა კევრცხს დებს, ბარტყს გამოჩეკვს ხო-



ექიღნა.

ღარულია ბალნით და ამ ბალნის ბუწვებს ჩამოწონწიწებს რძე: ექიღნას შეილი, თუ ბარტყი ამ ბუწვებს ლოკავს და რძით ისე იკვებება.

ექიღნა ქიანჭელებითა და ტერმიტებით იკვებება. კბილები არა აქვს, მაგრამ მათ მაგიერ ენასა და სასაზე ძელის თხელი ფიფივრებით აქვს გადაკრული, ამიტომ საზრდას დეკევა შეუძლია პირში. თუ ექიღნას სახიფათო რამე მოვლის, ის მაშინვე წინა ფეხებით მიწას გათხრის და შიგ ჩაიმაღება სწორეთ იმ ნაირათევე, როგორც ჩვენებური მუღუ ანუ თხუნელა. დღისით ექიღნა მოსვენებულია და თვის საროში ნებეგრობს, საზრდა-საკვების საქმენათ კი დამით გამოდის. საცხოვრებლათ მთიანი და მალ-

ღმე და მერმე ქუთუს აწოვებს. როგორც აღდამიანს, ექიღნასაც ორი ძუძუ აქვს, ხოლო ძუძუს თავი, დეგრილა არ მოეპოვება. იმ ადგილას, სადაც ძუძუს თავი უნდა ყოფილიყო ამოსული, ექიღნას კანი ჩაზნექილია და პატარა ორმოა გაკეთებული; ამ ორმოს ესკერე შე მოკვეენავს რძე; ორმო შე-

ლობი ადგილები უყვარს, ხოლო 3000 ფუტ. სიმაღლეს კი ვეღარ აცილებდა, რადგან სიცივეს სრულმებით ვერ იტანს: მისი სისხლის სითბო 28° არ აღემატება.

იხე-ნისკარტაც ყველა ამ თვისებით არის შემკული. ხოლო ზოგი თავისებური, ნიშნობლივი თვისებაც მოეპოვება. იმის ნისკარტი იხვის ნისკარტით მოგარბილი და გაპრტყელებულია. პატარაობისას ამ ნისკარტზე ხორკლიანი პრტყელი კბილები ასხია. მოწიფულებასში კი კბილების მაგიერ რქის თვისების ფარფიტები ვადეკვრება ენასა და სასახე. ოთხსავე ფეხზე თითებს შუა გაკეპილი აქვს საცურავეი ვარსი ისე, როგორც იხესა და ბატას აქვს. ეს

უქანსკენი თვისება ცხადთ გეჩინენებს, რომ იხე ნისკარტა წყლის ცხოველია. იხე-ნისკარტა სოროს მდინარის ნაპირზე აიშენებს ხოლმე. ეს სოროა შემდგარია ერთი ოთახისაგან, რომელსაც ორი გამოსასვლელი კარი აქვს: ერთი კარათ მდინარეში შემოდის. მეორე კარსა კი ზევით მიწაზე ამოყავს. ამ მეორე ამოსასვლეს ავრთვეთ ის მნიშვნელოზადა აქვს, რომ ჰერს ოთახისას ასუბთავებს. იხე-ნისკარტას ბევრი მტერი ჰყავს, მაგ. დინგო, პარკიანი მგელი და ადგილობრივი მცხოვრებლებიც, რომელთ მისი ხორტი ძლიერ ეგემრიღებათ. ამიტომ ეს საკვირველი ცხოველი თანდათან ისპობა და ჰქვრება.



„ქობაძე“ „ივერიან“ და ქორეხბა.

V

დასასრული *)



აშუალო საუკუნოების ცხოვრება ერთიანთა დაყრდნობილი იყო სოფლის ცხოვრებაზე. სოფელი სოფლიდან იყო ვაკალკეუმბული, ხეობა ხეობიდან, მაზრა მაზრიდან, მხარე მხარიდან. აქ ისტორიის ჩარხს სოფელი ატრიალებს. სოფლის ბატონობა ნიშნავს პოლიტიკურ წყობილებაში ანარქიას, ეკონომიურ წყობილებაში შრომის განუფითარებლობას, მიმოსვლის დაზშვას და კარჩაკეტილ ცხოვრებას. ახალი ისტორია დაიწყო ქალაქის აღორძინებით. შრომის განუფითარება, აღებმიცემობის ფეხის აღგმა, მისკლა-მოსკლის გაადვილება—აი, ახალი მიმდინარეობა. ასეთ მოძრაობამ გამოიწვია საცაქრო ნიეთთა და აღამიანთა კონცტრაცია, თავის მოყრა, ერთი ცენტრი. ასეთ ცენტრებს დავრქვა ქალაქი და დავედა საფუძვლათ ახალ ისტორიას. ქალაქმა დაიჭირა მოწინავე როლი. მან შეაერთა სხვა-და-სხვა კუთხე ერთმანეთთან, გააერთიანა მთელი ერი და დააკაშირა უცხუა ერნი. ქალაქში მოიყარა თავი ერის ეკონომიური და პოლიტიკური ცხოვრების ძარღვებმა. სოფელი უქალაქთ ერთ დღესაც ვერ გაძლებს. სოფელი მიდის ქალაქში ნაშრომის გასაყრდით და საქირაო საქონ-

ლის საყიდლათ. ქალაქელი ღროს გასატარებლათ თუ წავა, თორემ მეტი არაფერი საქმე აქვს სოფელში. რაკი ეს ასეა, ცხადია ქალაქია ის შუაგული ადგილი, სადაც ტრიალებს ყოველნაირი ხალხი: მუშა, ხელახანი, მეურნე, მეღვინე, შეეტლე, მოზელე, მოსწავლე და სხ. და სხ. ასეთი მოძრაობა ერთმანეთს აახლოებს, მოკალაქობრივ გრძობებს უღვიძებს, გონებრივთ წვრთნის და ამაღლებს. რაკია ქალაქში ძლიერდება ახალი იდეები, სოფელშიაც გადადის, რომელი ერიც ქალაქშია ფეხ-მომაგრებული, სოფელშიაც ადვილათ ფეხს იკიდებს. გამოაცალეთ ირლანდიას დუბლინი, პოლონიას ვარშავა, თქვენ დაგრჩებათ სხეული უსულლათ, ქვეყანა უთავოთ, ხალხი უწინამძღვროთ, ერი დაქსასულ-დაუძღვრებული. ქალაქში წყებულობს ყოველივე რევოლიუციური მღვლვარება, ვითარდება პოლიტიკური ბრძოლა და შემდეგ თანდათან ეღება სოფელს. ქალაქში იწვრება და იცემება კანონები, გამოდის ბრძანებები, იხსნება სასწავლებლები, არსდება საზოგადოებები, ჩნდებიან მწერლები, მუშაუდება იდეები, ერთი სიტყვით ქალაქის მაჯის ცემა მთელი ერის მაჯის ცემაა, ეროვნული ცხოვრება—ეს ქალაქური ცხოვრებაა. სოფელი ნელ-ნელა ქალაქდება. ეს აშკარაა მთელი განათლებული ქვეყნისთვის, წყვედილთ მოკულია ჩენი მწერლობისათვის. ეს დაუხრულუმლათ ლადლებს, ჩენი მხსნელი, ჩენი ეროვნების აღმდგენი სოფელიაო. ივერიას* ხელში სახრე დუკავებია და ინტელიგენციას სოფლათ მიე-

*) იხ. „საქალი“ № 34



სე-ნისკარტა და ღინგო.

ტალიზმს ორი საუკუნის ისტორია ჰქონდა. ჩვენ ვითარდებით არა საკუთარის ინიციატივით, არამედ ევროპის მუჯღუღუნივით. ევროპა გვიძღუღულებს ევროპის გზაზე გამოვიდეთ. ჩვენი განვითარება, როგორც ყველა უკან ჩამორჩენილის ხალხის, ძალ-დატანებითა. ამ ძალადობას უძღვებთ იმიტომ, რომ კულტურა გვაქვს. უკულტურა ხალხი ვერ უძღვებს და ჰქრება. მაშასადამე ჩვენ ჩვედკით ახალ ხანაში, არა როგორც ეტნოგრაფიული ხალხი, არამედ როგორც ქართველი ხალხი, მეტონე საკუთარი ისტორიის, კულტურის, ზნე-ჩვეულების. აი, ეს არის ეროვნული ნიადაგი, ამაზე ვაშენებთ ევროპულ-ცივილიზაციას. თუ ეს ნიადაგი დაეკარგეთ, გვეკარგვის ხალხანობა, კულტურა, თავისი „მე“. თუ ევროპის ცივილიზაცია არ შევითვისებთ, ვერჩებთ დაუძღვრებულნი, სუსტი, მზთ ვადასაშენებლათ. ორივე წინადადება ჩვენი გაქრობა მოადგეს. ქართველ ხალხს ეს კითხვა უკვე გადაჭრა, ის ახალ გზაზე ორპირი მახვილით გამოვიდა: ერთი ჰქრის იმით, ვინც მის პირადობას ენება, მეორე იმით ვინც იმედს უწყევტს ვერ გავეროვიდღებო. **ქართველობა და ევროპელობა** — აი, რა სწერია მის დროშაზე. ჩვენი წინ-სვლა ამ დროშის თანდათან გავლას მოასწავებს. ჩვენში გვევროპელების სურვილი ძლიერია, ისე ძლიერი, რომ ხალხში კრიზისი იწვევს. ეს კრიზისი ენება გვევროპელების დედა ძარღვს — ეკონომიურ განვითარებას. ფულის საჭიროებამ უკვე დაანძრია სოფელი. გამრავლდა სხვა-და-სხვა მოთხოვილობა, რის დასაკმაყოფილებლათ აუცილებლათ ფულია საჭირო. სოფელი შრომობს, ოფლს ღვირს, ეგება ორი გროში ვიშოვნოვო. მას არა გააჩნია რა ვარდა ვასაყიდი სამეურნეო ნაწარმოებისა. ის ამით ვაჭრობს, წარმოიღვინეთ უმუშტრო ვაჭრის მდგომარეობა. სწორეთ ჩვენი სოფლის დიდი უმრავლესობა ასეთი უმუშტრო ვაჭარია. ის დაშორებული ქალაქებდან, დაშორებული ბაზრიდან. უფულოთ ცხოვრება კი არ შეუძლია. აი, აქ არის ჩარჩოთა და მოვანხვთა სარბიელი, სოფლის ნაწარმოებს რომ ბაზარი არ ჰქონდეს, აღარც ჩარჩი განდებოდა და, თუ ის არსებობს, ცნადა სადღაც შორს ბაზარი მიეგულება. მაშასადამე, სოფლის პირდაპირი კითხვა მისი ბაზართან დაახლოება, რაც ხდება სწრაფი მიმსვლით და სხვა ასოციაციური საშუალებით. მხოლოთ ამ შემ-

თხვევაში შეუძლია მეურნეს გამოიყენოს იაფი კრედიტი და სხვა სამეურნეო დაწესებულება. მხოლოთ ამ შემთხვევაში შეიძლება მეურნეობის აღორძინება და ინტენსიური კულტურის დაწყება. (როგორც ეს ევროპაშია). სოფლის ასეთი ცვლილება ნიშნავს მის გაქალაქებას ცხოვრებით, შეგედღვებით, ერთი სიტყვით კულტურულათ. ასეთ პირობებში ისობა, როგორც ჩარჩები, ისე მატყუარა „ბალაკატები“, მარჩივლები, „მოსე მწერლები“ და სხ. *) „ივერიის“ რეცხვით ამავის ამოკვეთი ინტელიგენცია, მას ჰგონი ყველა ესენი შემთხვევით არიან სოფელში, საკმარისია ინტელიგენტის გამოჩენა, რომ ეს მოუპატივებელი სტუმრები მიიფანტ-მოიფანტან. ნეტარ არიან მოარწმუნენი! „ივერია“ ასეთ წამალს იძლევა სოფლის წყლულის განსაკურნებლათ: კაპიტალიზმი ვერ დამკვიდრდება, ხოლო ევროპაში აღრე თუ გვიან სამართლიან ეკონომიური ფორმა დამყარდება და ჩვენი ერი შეგნებულის ინტელიგენციის დახმარებით ადვილათ შეთვისებს. მანამდის კი ჩვენი ეკონომიური მოვლევობა უნდა გამოიხატოს შემდეგში: „ჩვენის დღევანდლის სიმდიდრის და ერთადერთის განძის დაცვისათვის და ამ სიმდიდრის წესიერი მოხმარებით ჩვენი ეკონომიური წარმატებისათვის (ეკონომიური, წარმატება უკაპიტალიზმით! კარგა ვიცოდეთ რა წარმატება ეს) ყოველი ღონისძიება ვიხმაროთ. ეს სიმდიდრე მიწა. (იქ, სადაც კაპიტალიზმი არ არის, მიწის ღირებულობა მცირეა); ეს განძი ხელიდან რომ არ გავგეცლოს, საჭიროა მოგროვდეს იგი იმათ ხელში, ვისაც მოვლავარობა შეუძლია. საჭიროა მიწამ იმდენი ხერი მისცეს მომვლელს, რამდენიც საკმარისია ნივთიერ და სულიერ დღევანდელ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად“ (№ 34). ამ პატარა რეცხვში არ არის არც ერთი წინადადება, რომელიც არ არღვევდეს მეორეს და არ ირღვევდეს თავის თავს. რა ნაირათ შეიძლება მეურნის მოთხოვნილებანი საკმარისათ იქნას დამკვაფილებული?

*) ჩვენს შვედლობაში ერთათერთ წერადეს შეესხვა, სადაც ეს კითხვა უშეშარბით იყო დასმული. გაუშუბაქსე მეურნის საზოგადო პირობები და გუშუბაქსე მეურნეობა — სწორად ატორი. ის „მეურნე და მეურნეობა“ გასული წლის „მოაშემა“.

მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლათ საქირია ფუ-
ლი. მაშასადამე მეურნემ ნაშრომი ბაზარზე უნდა
გაიტანოს, განაღდოს, სად არის ბაზარი? პატრიარ-
ქალურ წყობილებაში ბაზარი არ არსებობს, შრომის
განაწილება მცირეა, სყიდვა-გასყიდვა არ წარმოებს'
ფული არ ტრიალებს. ბაზარი ჩნდება მაშინ, როცა
ერში ხდება შრომის დიდი განაწილება: ქალაქი ცი-
ლდება სოფელს და ჩაღდება ქალაქური ცხოვრება.
ეს ფებს იღვამს ალებ-მიცემობის, მრეწველობის, მი-
მოსვლის ე. ი. კაპიტალიზმის განვითარების წყა-
ლობით. აშკარაა, კაპიტალიზმი ჰქმნის მეურნეთათ-
ვის ბაზარს როგორც შიგნით ისე საზღვარ გარეთ
„იგერია“ ამტიციებს კაპიტალიზმი არ იხსებობს და
ეერც იხერებს, ბაზარი არა გვაქვს და ამავე დროს
სოფელს შეტრფის, ტკბილი სიტყვებით ელერსება:
შენს ცხოვრებას ჩინებულათ მოგაწყობო. აქ ამათ
შორის საინტერესო საუბარი იმართვის:

— შენ თუ შეგიძლია ჩემი საზოგადო პირო-
ბები გააუმჯობესო, ბაზართან დამახლოვე, საშუა-
ლება მომეცი ნაშრომი გავყიდა, ცხოვრებას მო-
წყობა უშენოთაც შემიძლია, ეუბნება სოფელი.

— ეს უსუძღებელია, ბაზარი საიდან გავიჩინო'
საზღვარ გარეთ მოწინავე ერთ ეერ შეეცილებით,
შიგნით კი ყველა მეურნენი ერთ. შრომის განაწი-
ლება არ არის და არც ბაზარი არსებობს, მასწავლე-
ბლის კილოთი უპასუხებს „იგერია“.

— მაშ შენი დარიგება შენთვის შეინახე, ჩემ-
თვის არ არის გამოსადეგი, დეე ისევე მე გავწოდდე
ეკლიან გზას. მოსაუბრენი შორღებთან ერთმანეთს
ამ ნაირათ, ეს ორი ელემენტი, ცხოვრება და
მწერლობა ერთმანეთს დაშორებთან და გან-განზე
მიმგზავრებთან; იმათ ერთი-მეორის არა ესმის რა-
მწერლობა მხოლოთ ოცნებობს. ოცნება ორნაირია,
პროგრესიული ე. ი. ჩინებული შინაარსიანი და რე-
გრესიული ე. ი. ასეთ ჩინებულობას მოკლებული-
ცხოვრებასთან კი არც ერთს არა აქვს კენჭირი. ოც-
ნება იმისთვის არის ოცნება, რომ რეალურ საფუ-
ძეელზე არ ღვას. აქ ყველაფერი ნატურაზეა აგებუ-
ლი. „იგერია“ სოფელს უნატრის: მიწა-ადგილებს,
ყველა-მოთხოვნილების დაკმაყოფილებას და „შე-
გნებული ინტელიგენციის“ სარღლობით ერთიანათ
გაბედნიერებას. „მოამბე“ თავად-აზნაურობას შეტ-

რუის და მის აღღვენას მეცადინეობს. როგორც ბე-
ღათ, ეს ორივე სხვა-და-სხვა სახისაა. პირველი გვა-
რინი ლამაზია, მეორე გვერინი მახინჯია. მიუხე-
ღათ ამის ორივე ერთ და იმავეს ამბობს: მოქა-
ლქობრივი წყობილობა ჩვენში ეერ მკვიდრღებოა.
ამ შემთხვევაში უფრო ლოლიკურია თავად-აზნაურ-
თა ტრფილი ეინემ „ტუტიათა“; პატრიარქალურ ბა-
ნაში „ტუტია“ ქალამნის როლს ასრულებს. ესენი
ერთ წუთშიაც რომ დარწმუნღენ ჩვენ გავეროპილე-
ბის გზაზე სწრაფათ მიეეკნებითო, მაშინვე ირღევა
ოცნება და სიხმრიდან გამორკვეულნი დღამიწაზე
ეშვებიან. ეეროპიელობისაგან ძლიერ შორს ღვას
როგორც აზნაურობის აღღვენა ისე „ტუტიათა“ მი-
წა-ადგილებით გამიღრება. აქ ყველაფერს ფული—
კაპიტალი ასწორებს. ამ მწარე სინამღელის დანა-
ხვა არ მოსწონთ და ოცნებას ეძღვეიან. დეე, ო-
ცნებონ, ჰღანები დაწყონ, ილაპარკან, გავრთონ,
ეს რა დააკღდება? ცხოვრება კი ახალ გზაზე მი-
ღის და მიეკნება. მას არავითარი რეეკუტი არ
რწამს. „შეგნებული ინტელიგენცია“ (ე. ი. „იგერია“)
ეუბნება: ჩვენ, პატარა ერს, საღ შეგიძლია ეეებე-
რთელა ერთ შეეეჯობროთ და ნაწარმოებს ბაზარი
ეუშოვოთ: ისეე ჩვენს ქერქში დეეტიოთო (მეეე-
ღემ ეს მარტეათ გამოთქვა: „ახირებული იქნება
ასეთი პრეტენზია დიდ-კაცობაზე პატარისაგანო“).
ეს „პატარა კაცი“ მიინც თვისას არ იშღის, ასე
გასინჯეთ „დიდ-კაცს“ ეჯობრება, მას გააქვს რუ-
სეთში და საზღვარ-გარეთ: ნეთი, ქეა-ღუნდი, სიმიდი,
ბე-ტყე და სხ. აეთებს გზებს, ამრავლებს ქალაქებს,
ერთი სიტყვით მის პატარა კანში ეეღარ ეტევა; დი-
დი უნდა გაზღეს. „იგერია“ ქეეყანას „ნინიანას“ უგა-
ლობებს. ქეეყანას კი მიინც არ სიინავს, ეითომ არც
კი ესმის. ქეეყანა—იგერია გავთე—„იგერიას“ გაურბის.
ესენი ცალ-ცალკე მიღიან და ჩვენც გზა დაულო-
ცოთ. შეიძღება ოღღემე ერთათ შეიყარონ!..

ყველა ზემო ნათქვამიდან ჩვენ გავაკეთებთ მო-
კლე დასკვნას. ჩვენს უმთავრეს აზრებს თავს მოე-
ყრით რამდენიმე ტენზისში და მოწინაღღმღეეთ წა-
რუღღღეთ დასარღვეათ:

I. ცხოვრება წარმოადღვენს ერთ დიდ პროცესს,
განვითარებას, ყველა მისი მოეღენა უნდა განიხი-
ლოს ერთი-მეორის ურთი-ერთობაში და განვითა-
რებაში.

საქართველოს
საზოგადოებრივი
საბჭოების
საქართველოს

II. ეროვნული განვითარება ნიშნავს—ეკონომიურ განვითარებას. ეს ხატება შემდეგში: ძველი პატრიარქალური წარმოება ირღვევა და მის ალას დგება კაპიტალისტური. კაპიტალი გროვდება ერის გულში სხვა-და-სხვა ხერხით, მოტყუებით, ძალ-მოძრაობით, უკანონო კანონიერებით. ეს ფული გადადის წარმოებაში და იზრდება მუშას ძალ-ღონით. სრულიად კანონიერათ. ამას წინ ელოდება ძველი პოლიტიკური წყობილება.

III. ეკონომიური განვითარება ერს ჰყოფს დასებათ და ახდენს პოლიტიკურ ცვლილებას. ახალი პოლიტიკური ფორმა თავის მხრივ აძლიერებს ეკონომიურ წარმატებას და ამწეებს დასთა ბრძოლას.

შენიშ.— ევრც ერთი ხალხი ევრც ევროპიელდება გონებით, პოლიტიკურათ, თუ ის ევრც ევროპიელდება ცხოვრებით ეკონომიურათ.

IV. მოწინავე ქვეყნებში (ინგლის-საფრანგეთი) ამ ცვლილების ინიციატორი იყო ბურჟუაზია. უკან ჩამორჩენილ ქვეყნებში კი მუშა ხალხია, ხოლო ინტელიგენცია არასოდეს.

შენიშ.— ხალხის ცხოვრების შეცვლა-გაუქვობებსა შეიძლება მხოლოდ ხალხს და არა მის მალა მდგომ ინტელიგენციას.

V. ეს ახალი ხანა ერთიანთ ამწებულთა ქალაქურ ცხოვრებაზე. ეს მოქალაქობრივი ხანაა. სოფელი ქალაქდება.

VI. ამისათვის ერის ყოველგვარ აღორძინებაში


პირველ როლს ქალაქი თამაშობს. რამდენათ რაიმე საერთო საქმეს ქალაქი მეთაურობს იმდენათ ის ძირ-მომავარებული და ცნობიერია. სოფელი ქალაქს მიდევს.

VII. ჩვენი ქვეყანა უყვე ჩადგა მოქალაქობრივ ხანაში. ეს იხატება პატრიარქალურ წყობილების რღვევაში და კაპიტალისტურის დამკვიდრებაში. ქართველი ხალხის ცხოვრება ევროპიელდება.

VIII. გვევროპიელდება წარმოებს ქართულ ნიდადაზე. ქართულ კულტურაზე. სამშობლო და უცხოეთი, საქართველო და ევროპა. ქართველობა და ევროპიელობა— აი რა სწერია ახალ დროსაზე. ამის ამოკითხვა და ხალხის შეგნებაში გადატანა— ჩვენი დროის ისტორიული კითხვაა.

„ევროპა ან უნდა დაარღვიოს ეს ტუხისებე და ან ლოლიკაში ჩადგეს. უკანასკნელ შემთხვევაში მას რჩება ორში ერთი: ან უნდა უარჰყოს თავისი პოლიტიკურ-ეროვნული ლტოლვილებანი და თანახმთ ეკონომიური მოძღვრებისა სრულიად გაკონსერვატორდეს; ან და უარჰყოს თავისი ეკონომიური მოძღვრება და თანახმთ პოლიტიკური ლტოლვილებისა სრულიად გაპროგრესისტდეს. რომელ გზას დაადგება „ევროპა“? პირველს თუ მეორეს? *Das ist die Frage.*

ნ. ურდანი



სამწინელი ქარიშხალი

(გაგრძელება მოთხრობის „პირველი ტალღები“)

შ. მგელი *)

XIII.



ვენ რასაკვირველია, ვეღარ მივყვებით კვალ და-კვალ ჩვენის მეგობრების ცხოვრებას, რომელითაც სამართლიანთ დამსახურეს მთელ აზას-

თუმანში „განუყოფელის სამების“ სახელი. ისინი მართლაც კანუშორებლათ სულ ერთთ იყვენ: ერთათ სეირნობდენ, ერთათ სადილობდენ, ერთათ თამაშობდენ კვებს, უფრო ხშირათ კი ერთათ ოცნებობდენ თავიანთ მომავალ მოღვაწეობაზე. აღარც კენი-ნა ბარბალებს საღამოებზე წასულან შემდეგ, აღარც სხვას ეკარებოდენ ვისმე, რადგან ჰხედდენ, რომ საერთო არაფერი ჰქონდათ არავისთან. ეს მათი სრული განცალკევება ბეგრს არ ეკუმნიცა და იჭვის თვალით დაუწყეს ყურება დათას და მაროს დამოკიდებულებას. ბოლოს და ბოლოს საზოგადო სეირნობებზედაც კი მიატოვეს მათ სიარული და სულ გან-

*) ის, „გვლა“ № 34

მარტოებულ ადგილებში დადიოდნენ; მაგებზე და გორებზე დათოხნავდნენ მარტო-მარტო. დათვალერებს ყოველი შესანიშნავი ადგილი აბასთუმნისა; ზნახს „თამარის ციხე“, ძველის ტაძრების ნანგრევები და ძველი საფლავები, „თამარის წყარო“, ნეციფერების ჭიშკარი და სხვა და სხვა. ესრეთ წოდებულ „კლექიანების მთაზე“ და „მინსტრის“ გზაზე, ხომ თითქმის ყოველდღე გაივლიდნენ და „სიყვარულს წყაროსთან“ კი დღეში რამოდენიმეჯერაც გაივლიდნენ ზოლზე წყლის დასაღვეთ. ასე მიდიოდნენ დღეები, კვირები და მთელმა თვე-ნახევარამაც ისე გაიარა, რომ არც კი შეუტყუით ჩვენს მეგობრებს. იმათ დაევიწყათ მთელი ქვეყანა და მარტო ერთ-მანეთით-და ცოცხლობდნენ, მარტო ერთმანეთს და თვინათ იღილაგბს ცეუტენოდნენ! არცერთი მათგანი ცხოვრებაში გამოცდილი არ იყო და არ იცოდნენ, რომ საზოგადოებას თავისი კანონები აქვს ცხოვრებისთვის, რომელთა დარღვევას და უპაჟოფას ადვილათ არაგვს შევარჩენს.

სამართობოთ კოწია შინ უნდა წასულიყო რამოდენიმე დღით გამოსაწყობათ და მერე გამგზავრებულიყო რუსეთში, თუ იმ დროისთვის ქაიხოსრო არ ჩამოვიდოდა აბასთუმანს, მაროც ძმას უნდა გაყოლოდა სოფელში. ქაიხოსრომ ჩამოსვლის უარი მოწერა მაროს და უთვლიდა ესეც კოწიას წამოყოლოდა. ექიმებმა კი წინააღმდეგნი იყვნენ ჯერ მაროს წასვლისა აბასთუმნიდან, რადგან მარომ ნელ-თბილ წყალში დაიწყო ბანა და საჭირო იყო, ნელ-ნელა სრულიად ცივში გადასულიყო. „თუ ამ თვის დამლევამდის მოიცდით, შეგძლებათ პირდაპირ წყაროს წყლით ბანა და ეს კი იმისი ნიშანი იქმნება, რომ თქვენი ფილტვები სრულებით გამაგრდენ და საუკუნოთ განთავისუფლდით სნეულებისაკან“, ეუბნებოდნენ ექიმები მაროს, რომელსაც თვითონაც ძალიან გულით უნდოდა დარჩენა, რადგან ბედნიერათ გრძნობდა თავს, რა კი სრული თავისუფალი იყო და არაფერი არ აწუხებდა; სოფელში, ქაიხოსროსთან კი, ვინ იცის, რა მოელოდა?

— დარჩი, უთხრა კოწიამ დას, როცა მარო დაეკითხა რჩევას; მე ენახავ ქაიხოსროს და აუხსნი შენის დარჩენის მიუცილებელ საჭიროებას; დეარწუხენებ, რომ არაფერი გიჭირს მარტო და თუ მაინც

და მაინც, ერთი კაცი გამოგზავნოს და ის შეგვინება!

— ბატონო, ამისთანა დროს, რაც უნდა სამსახურში იყოს კაცი, ყოველი დაწესებულება განუგრობას დათხვენის ვადას და ქაიხოსრო როგორ იქნება ამის წინააღმდეგი, უთხრა დათამაც: თუ მაინც და მაინც ექიმს გამოვაოთვით მოწმობა და გუგზავნეთ! დაუმტა მან სიცილით.

— კარგი დავრჩები!.. თქვა მარომ.— მაგრამ პასუხი თქვენ უნდა აგოთ ჩემ მაგიერ ქაიხოსროსთან! დაუმტა მან ღიმილით და შეჭბედა კოწიას და დათას.

— ჩვენ კისერზე იყოს, უთხრა კოწიამ.

— შენ რა, შენ რუსეთში იქნები და იქიდან აბა რას მიშველი? უთხრა ძმას მარომ.

— მე ხომ თქვენთან ვიქნები, ბატონო? უთხრა დათამ და შეჭბედა მაროს. მარომაც შეჭბედა და იმათი თვალები ერთმანეთს შეხედდნენ. „თუ საჭირო იქმნება, მოვეცლავ, ან თავს შევეცლავ“, ამოვიტხა მარომ დათას თვალებში და თითონეც შეშინდა თავის სიტყვების.

— ეხუმრობ ბეჩა, თვარა ისიც კაცი არ არის? ხომ ვერ შეგჭამს? თქვა მან.

ამ ნიართ გადაწყვიტეს, რომ მაშინვე წერილი მიეწერათ ქაიხოსროსთვის და, როცა ჩავიდოდა, კოწიაც მოლაპარაკებოდა დაწერილებით.

თუმცა კოწია სამართობოთ უნდა წასულიყო, მაგრამ მარომ აღარ გაუშვა და ეს მისი სახელწოდების დღე ერთათ ვაატარეს. მართობის მეროვ დღეს ქაიხოსროსაკან გამოგზავნილი წიგნი და კაცი მოვიდა და კოწიაც წვიდა. ქაიხოსრო არ იყო კმაყოფილი, რომ მარო აბასთუმანში დარჩა მარტო, მაგრამ უარი ვეღარ გაბედა. „მეცლები რამოდენიმე დღით მაინც დავცოხოვო თავი და ჩამოვიდე, თვარა არ მოგცემდი დარჩენის ნებას, რადგან მეშინია, არაფერი გაგიჭირდეს ო, წერდა სხვათა შორის ქაიხოსრო ცოლს და თხოვდა, თითქმის თუ ყოველ დღე არა, მგორე-მესამე დღეზე მაინც წერილი მიეწერა.

XIV

დარჩენი დათა და მარო და „აბასთუმნის განუ-

ყოფელი სამება* ორებათ გადაიქცა, თუმცა ქაიხოსროსგან გამოგზავნილი კაცი ყოველთვის უკან დადევდა მაროს და დათას და ერთ წუთსაც არ შორდებოდა მათ. ეს კაცი ქაიხოსროს ერთგული ყმა იყო და გარდა მაროს სამსახურისა სხვა საიდუმლო მონდობილებაც ჰქონდა: მას თვალი უნდა ედევნებინა მაროსთვის, ყური უნდა ეგდო ვარშემო ლაპარაკისათვის და ყველა ეს ნახული და გავონილი დაუყოვნებლივ შეეტყობინებინა თავის ბატონისთვის. ერთის სიტყვით ზურაბას (ასე ერქვა გამოგზავნილ კაცს) ჯაშუშობა ჰქონდა დაეაღებული და ისიც, როგორც გამოცდილი ჯაშუში (ზურაბა სპეციალისტი იყო თავის საქმეში და უგანგებ, მხოლოდ იმისთვის ჰყოფდა ქაიხოსროს, რომ საიდუმლოთ შეეტყობოდა, ვინ რას ჩაიიდა მთელ მაზრაში), ის იქცოდა. იმედა, მკითხველს არ გაუკვირდება ქაიხოსროს იტყვიანობა, რადგან რომელ ახალგაზდა ცოლის ქმარი და ისიც კიდევ ხნეიერი, არ არის იტყვიანი, ქაიხოსროს ყურამდის მიღწეა კიდევ იმ ამბავს რომ დათა მერცხალაძე ერთობ დაახლოებულია მიცოლთან და თუმცა დარწმუნებული იყო, რომ მარო გარყვნილი ქალი არ იყო, მაინც საჭიროთ დაინახა ზომების მიღება.

ზურაბამ მამინე მწერა თავისი შთაბეჭდილება ქაიხოსროს და შეუთვალა, რომ მარო და მერცხალაძე სულ ერთათ არიანო. „მართალია, ჩემის თვლით არაფერი მინახავს, მაგრამ ხმები კი საძაგელი დადის; მთელი აბასთუმანი მათ შესახებ ლაპარაკობს“, წერდა სხვათა შორის ზურაბა და არც ტყუილს წერდა. მართლა რომ საძაგელი ხმები დადიოდნენ მაროსა და დათას შესახებ. კორი და მითქმა-მოთქმა მოთხოვნილებას შეადგენს საზოგადოებისთვის, ნამეტურ იმისთანა ადგილზე, როგორც აბასთუმანი, სადაც არაფერს არაფითარი საქმე არა აქვს (რასაკვირველია, ვინც კარგათ არის) და ყველა იმის ცდაშია, როგორ წაიღოს დრო; რა მოიგონოს იმისთანა, რომ თავი შეიქციოს? აბასთუმანში მყოფთაც ისარგებლეს შემთხვევით და, ვინ იცის, რაებს არ უგონებდნენ საბრალო მაროს და დათას! ხუმრობა იყო, სრულიად უნათესაო ქალი და კაცი ერთათ ათენ-ალამებდნენ ყველა თავის ადლით ზომავს სხვას და თვით ზენ-დაცემულთ და ქვენა

გრძნობათა მიმართ წარმოდგენაც კი არ შეძლოთ, თუ ქალსა და კაცს შუა, ახალგაზღობის დროს, შესაძლებელი იქნებოდა მეგობრობა, რომელიც ენებათა ღელვის დაკმაყოფილებზე არ იქნებოდა დამყარებული. მაგრამ, თუნდაც დარწმუნებულიყვნენ კიდევ მაროსა და დათას განწყობილების სიწმინდეში, მაინც ვერ მოითმენდნენ, რომ არაფერი ეთქვათ, რადგან ბრბო ყოველთვის სჯის იმათ, ვინც მანვე მალა დასა, არ ემოჩილება მისგან დაწესებულ კანონებს და თავის საკუთარ გემოზე ცხოვრებს. მარო და დათა უნდა დასჯილიყვენ!..

— ბიჭო, რას დასდევ, შე უბედულო, კულში შენ ქალბატონს? ვერ ხედავ არაფრათ არ ვაგვებენ ის და მისი საყვარელი? შენ კი არა, შეილო, ახლა თვითონ შენი ბატონიც რომ ჩამოვიდეს, მეგანი იმასაც აღარ შენიუონ! უთხრა ერთმელ გურგენ გურგენიძემ ზურაბას, რომელიც ჩვეულებისამებრ შორი-ახლოს მიჰყვებოდა მაროს და დათას.

— არა, გავიფუტვა, გავიფუტვა ამ წუნკალმა მერცხალაძემ პირველი თავადიშვილის ქალი და თავადიშვილის ცოლი, წამოიძახა ამ დროს ნესტორ მაჩიტაძემ, რომელიც ის იყო წამოვიწია გურგენიძეს და ყური მოჰკრა მის სიტყვებს.

— ეგ არ არის? მე და შენ აბასთუმანში იყით, კნაზ ნესტორ, და მარო ვილაც მერცხალაძეს, რომელსაც ჯერ პირზე რძეც არ შეშრომია, ეკუთვნოდნენ? უთხრა გურგენიძემ რუსულათ ნესტორს საზოგადოების ღიმილით და მიუბრუნდა ისევ ზურაბას: — ბიჭო, მიწერე შენ ბატონს, ჩამოვიდეს და წაიყვანოს თავისი ცოლი, თვარა მოგვეკრა თავი მთელ იმერეთს!

— მიწერე, ბატონო, რაც შემეძლო, მიუგო ზურაბამ.

— აი, თვალბეც კი დასდგომია იმას, თუ არ ენალელება! თქვა გურგენიძემ და დაპირა წასვლა, მაგრამ უცებ ისევ შედგა და უთხრა: — ბიჭო, შენ კარგათ ვერ მიწერდი, ვერ გააგებებდი, როგორც არის საქმე. მოდი მე დაგიწერ შენს, შენ გადაწერე და გაუგზავნე და აბა ენახოთ, თუ მამინე არ ჩამოფუტებუნდება?

— ეგ კი წყალობა იქნება, ბატონო, თვარა მე რა ვიცი წერის? სიტყვით კი ეტყვი ყველაფერს,

როცა ენახე, და დაწერა კი არ მცხერებდა, უთხრა ზურაბამ.

— მაშ ამ საღამოს შემოიარე ჩემთან და დაწერილს დაგახედე, უთხრა გურგენიძემ.

— ძალიან კაი, ჩემო ბატონო. მდებლათ დაუტრა თავი ზურაბამ და მოშორდენ ერთმანეთს.

— ეს ძალიან ფიქრი მოგივიდა, კაცო! უთხრა ნესტორამ გურგენიძეს და ჩაიცინა უღვაშებში.

— ისე ურჩენია იმას, რომ არავის გვეკარება? არა, რა მოეწონა იმ ჯახრიკა მერცხალაძეში, რომ არ ვიცი? თქვა გურგენიძემ.

— ჰო და თავი კი ისე ეჭირა, გვეგონებოდა ანგელოზიოა თქვა ნესტორამ და ორი ღირსეული მეგობარი სხვა დასხვა მხრით წავიდნენ: ერთს რომ სისრულეში მოეყვანა თავისი ნაფიქრი და მეორეს კი რომ შეეტყობინებინა პასუხისმის საზოგადოებისთვის რა კომედიაც მზადდებოდა.

დაუწო შეგრელო.

(შემდეგი ოქნება)

წერილი რედაქციის მიმართ

ბატონო რედაქტორო!



მორჩილესთ გთხოვთ, ადგილი მისცეთ თქვენს პატრიცემულ გაზეთ „კვალში“ ამ პასუხს იმ კორესპონდენციებზე, რომელიც ამ წლის 20 მაისს დასტამებული იყო „ივერიის“ მე-104 №-ში თავ. სოსიკო თარხნიშვილის ხელ მოწერით. „ივერიის“ რედაქციას პასუხით ორი თვის წინეთ გაუგზავნე, ერთხელ კიდევ მივმართე ბ-ნ რედაქტორს, მაგრამ დღემდის არ ჩანს „ივერიაში“ ჩემი პასუხი. არ ვიცი, რა დამოკიდებულება არის თ. თარხნიშვილსა და „ივერიას“ შორის, რომ ჩემი პასუხი დამარხებულია. თ. თარხნიშვილის ტყუილ ფაქტებზე აგებული კორესპონდენცია კი ქვეყანას მოეფინა. მეორე სტატია თ. თარხნიშვილისა უფრო სუსტიანი და ცილის წამებით აღსაყენ დასტამება „ივერიაში“ მკათათვის 29 რიცხვში № 160-ში ჩემ შესახებ. რა გასაკვირებელია, რომ ინფარდას და ვაიმარჯვოს თავ. ს. თარხნიშვილმა: ფალავანი მივიღებ დაქირის და მოპირდაპირე არასიდან ჩანს. არ მესმის ასეთი ქტევა გაზ. „ივერიისა“. კერძო დამოკიდებულება, რომ ჩამ ჰქონდეს „ივერიის“ რედაქციას თავ, ს. თარხნიშვილთან, მაშინაც გაზეთი ვალდებულია პასუხი დამიბეჭდოს, რომ თავი ეიმართლო იმ მოპორობილ და განგებ შეთხზულ ცილისწამებისაგან, რომელიც კერძოთ ჩვენ შეგვეგება და ჩვენს პირადობას ჩირქს ცხებს, მაგრამ ჰმ... თ. თარხნიშვილი მოუთხრობდა მკითხველთ თავის კორესპონდენციაში და მათ არწყენებდა, რომ მე ვითომ უსამართლოთ ვსარგებ-

ლობ მონიჭებულ უფლებებში, პირდაპირ მოვალეობას კი უყოფადღებოთ ეტოვებ. სიმართლის აღსადგენათ, თავ. თარხნიშვილს დაუწერე პასუხი, რომლის დასტამებვას ახლა თქვენს გთხოვთ უმორჩილესათ, უყეთუ თ. თარხნიშვილს თქვენთანაც ისეთი დამოკიდებულება არ აქვს როგორც „ივერიის“ რედაქტორთან ჰქონია. თ. თარხნიშვილს პირველათ თითონ სურდა იმ ინტელიგენტ მამასახლისთა რიცხვში მომხმედარიყო, მაგრამ ხალხისგან არ იქნა ამორჩეული, მას შემდეგ ის შეიქნა ჩემი დაუძინებელი მტერი და კვალში მდგეს იმ განზრახვით, რომ ჩემზე რაიმე ცუდი გამოებენოს, შემამჩნიოს და ლეთის რისხვით აქციოს ჩემი ლეთის წყალობა. თ. ს. თარხნიშვილი წერს, რომ რიცხვი მეკამურთა 1888 წლის კამერალურის აღწერით ჩემს სამამასახლისოში შეადგენს ათას კომლსა, და, როგორც განმარტებს, დროებითი მცხოვრებლებით კი ათას-ხუთას კომლამდე. მაგრამ თეთ მოხსენებულის კამერალურის აღწერით ჩემი საზოგადოება რვა-ას-სამოცი კომლის მეტი კი არ არის, დროებით მცხოვრებლებით კი შესდგება ცხრას კომლამდე. აჲ, ეს რიცხვი სწორით იხდის კომლზე რვა უხალთუნს. ამ ნაირათ სულ შედგება ას-ორ-მოც-და-ოთხი თუმანი და არა ორას ორ-მოც-და-ათი თუმანი, როგორც ბრძანებს თავის კორესპონდენციაში თავ. თარხნიშვილი. აჲ იცის საქმის გარემოება და ქსელამს ჰორგვსა. ესეც არ იყოს, ეს ფული მარტო ჩემთვის ხომ არ არის დანიშნული? უთუოთ სულ თავისი ეგონებოდა ეს ფული თარხნიშვილს, ასე თავ-გამოღებით რომ ცდილობდა მამასახლისობას. თორემ, რაც მე მჩჩება, ის რომ გონებოდა, რათ იკადრებდა?! თავ. ს. თარხნიშვილს მართალი თუ ნებაგს ვაიგოს და ჩემი ნამდელი ჯამა-

გირი შეიტყოს, ამ ფულიდან უნდა გამოიცილოს: მწერლისა და სამი ცხენოსანი ჩაფრის ჯამაგირი, კანცლარიის შერობის დასაქირავებელი და კანცლარიისათვის საქირაო წერილმანი ხარჯი. ამ ანგარიშით თავი თარხნიშვილიც და მკითხველიც დარწმუნდებიან, რომ მე ორმოცდაათ თუმანად არა მირჩება, არა თუ ორას ორმოცდაათი თუმანი. მაგარამ ესეც კი კარგი ჯამაგირია მე და ჩემმა ღმერთმა. გზები და ბოგირები ჩემს საზოგადოებაში ისეთი ცუდნი არ არიან, როგორც ბ. კორესანდენტს ჰგონია, და ვაცილებით სხვა საზოგადოების გზებსა და ბოგირებზე ბენჯიონ უფროდენი არიან. და თუ ისეთ მდგომარეობაში არ არის გზები და ბოგირები, როგორც სასურველია, ეს იმიტო აიხსნება, რომ გლეხები, წრევანდელი უამიღო გაზაფხულისა კამო შევიწროებულნი არიან, არც ის არის მართალი, რომ ვითომ ჩემის საზოგადოების სოფლები აღესილნი იყვენ პატივითა და ლაფებით, და მათ გამო სოფლებში ცუდი და მავნებელი სუნი ტრიალებდეს. თუნდა რომ ეს ასე იყოს, ეს ხომ მიინც ჩემი ბრალი არ იქნება, რადგან სანიტარათ თვით თავ. ს. თარხნიშვილი ბრძანდებდა. მე ჩემის მხრივ; ჩემს თანამეწყებებზე ბრძანება ვაგეცო, რომ სანიტარათ უფროსისათვის ყოველ გეირი შემწევობა აღმოეჩინათ. თავი თარხნიშვილი არ კმაყოფილდებდა, ამდენი ჭოგენითაც და ჩემზე სხვა ცილის წამებაც მოუფიქნავს. ხალხს ყბებს ამტერევსო, ცემა-ტყეპით, ჯარიმებს ახდენინებსო. ფოსტის ფულს სწორით არ უწერს გლეხებს წიგნებში და თვითონ ჯიბეში იღებსო. ვილაც ფლევებდეს ძალით ცხრამეტი მანეთი გადახდევინაო და თვითონ ჩაიჯობაო. ესე ყოველივე ცილისწამება და განგებ შეთხულო, რომ ლაქი მომაცება და საზოგადოების თვალში გამაზნოს, თორემ თვით თარხნიშვილიც კერძოთ დაჯერებულა, რომ მე ამ მხრით სუფთა ვარ. აბა, ერთი საბუთი მიინც წარმოადგინოს დამტკიცებით, ან ერთ-ერთი კაცი დაგვისახელოს, რომელსა დადამტკიცებდეს, რომელსაც გადახდევინე ჯარიმა, ან ფლევებდების ფული რა იქნა ვის ჩაბარდა. სხვა არა იყოს-რა, ასეთი ჭოგენი და ცილის წამებანი არ გეკადრებათ, თავი თარხნიშვილია. მაგრამ პირად ანგარიშით გატაცებულს თვისი ღირსება როდი ახსოვს! სუყველა კარგი, მაგრამ ის საიდან-ლა გამოუფრინა თავი. თარხნიშვილი, რომ ვითომ მე სამ-სამი აბაზი მიამეკრიბოს ვილაც ბორჯომის ყარაულისთვის გაზაფხულზე. ტყუილი იქნება და ასე ფეხ-აღმგული? ეინ ბორჯომის ყარაულები, ეინ მიკრტუმა! ერთი კაცი მიინც დაგვისახელოს, რომელსაც გამოვართვით სამი აბაზი. რატომ სასურველთ არ აწყობს ყველა საქმეს მამასახლისიო? ჰქონ

თხულობს თავი. თარხნიშვილი. რა უნდა მოეკრებოდა იმისთანა კანცურენტების ვადამივედ, როგორც ბრძანდებდა თავი. თარხნიშვილი; მის მაგიერ, რომ თქვენისთანა ინტელაგენტა მამასახლისი შემწევობას აძლევდეს და მხარს უზამტრებდეს ყველა საზოგადოების განხორციელებაში, თქვენ ქარებას და ცილის წამებას უნდებოთ და მეც თქვენ მიერ ტყუილი მასალით შედგენილ კორესპონდენციისა და ბეზლოზის ბარათებს, — გლეხების რომ თვითონ უწეროთ ჩემზე, პასუხს უნდებო... ესე ყოველი პირველ წერილში. ჰქონდა მოთხრობილი თ. ს. თარხნიშვილი. მაგრამ მით არ იტობა წაითამებულმა. მეორე უფრო უგზილო კილისწამებით აღსავსე წერილი გვიძღვნა გავზეთ „იერიის“ ფურცლებზე. ამ წერილში თ. თარხნიშვილი არწმუნებდა მკითხველთ, რომ მე ახლა ჯაკუის სასყდელი ფული კომლზე, ვითომ ორი შაშური მოვკრიბე და ამ ფულიდან სულ თორმეტი თუმანი შედგა. ტყუილი იქნება და ასეთი ცოცხალი ნეტევი ცოცხალი, რადის და სად ვიყუდებ ჯაკუი და ამისთვის როდის მოვკრიბე ფული?! მაგრამ ჰე! რომელი ერთი უნდა მოთვალოს კაცმა. ეტყობა თავ. ს. თარხნიშვილის მეტი საქმე არა ჰქონია-რა, რომ ჩემზე ქარები და ცილისწამებანი მოიგონოს და გაზ. „იერიის“ ფურცლები აავსოს. კარგი ხელოვანა, ღმერთმანი! ვაზ. „იერიის“ ასეთ კაცს ხელს აფარებს, თვის ფურცლებზე აფარაფებს და ჩემს პასუხსაც არ გეიბტკადეს. აი, ამას ჰქვია სამართლიანობა. თავი თარხნიშვილი ჭოგებს გაზეთში სტამბავს და მე მთავრობა პასუხს მოხოვს და თავს მამართლებინებს. რა ექნა აღარ ვიცი! რომელი ერთი უნდა აღვასრულო, მამასახლისობის მოვალეობა, თუ თავ. ს. თარხნიშვილის ჭოგებზე პასუხის გება. ასეთ გამოურკვეველ მდგომარეობიდან რომ გამოვიდე, ამიტომ მიემართე გაზეთის საშუალებით მთავრობას, დაამტკიცებინოს თავი. თარხნიშვილის უსათუოთ ყოველივე ის, რასაც კი ის ჩემზე აერცლებს თუ სიტყვით თუ ბეჭდვით და ან ავათ, ან კარგათ განმათავისუფლონ.

მამასახლისი აღის საზოგადოებისა სპირადონ მაჭარაშვილი.

შეგდამის გასწორება. № 31-ში „საშინელ ქარიშხალში“ შემდეგი შეცოთებობა: 10 გვ. მე-2 სტ. 1 სტრიქო. ქვევითა: „არ შეგვიღიას“; უნდა იყოს: „არ შეგვიღიას“. 11 გვ. 2 სტ. 3 სტრ. ზეჰ. „გამხარულელი“, უნდა იყოს გამხარულელებს“. იქვე 18 სტრ. ჰქვე: „აკურაგურ“, უნდა იყოს: „აკურაგურ და განსაჯუტობათ იქვე 8 სტრ. ჰქვე: „ჩვენით აზის გამაქველანი“, უნდა იყოს „ჩვენით ან აზის“.

ნიკაიონი შეტყობს გამოემგებელი ან. თ. წერეთლისა